კონფერენცია ევროკავშირის სამართალსა და პოლიტიკაზე

ინიციატივა „გარდავქმნათ კავკასია“, სტუდენტები ადამიანის უფლებებისათვის, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველო, ილიას უნივერსიტეტის თვითმმართველობა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო ჟურნალ „კამათელთან“ და BLC იურიდიულ ფირმასთან თანამშრომლობით წარმოგიდგენთ პირველ საერთაშორისო სტუდენტური კონფერენციას ევროკავშირის სამართალსა და პოლიტიკაზე.

საქართველოს სწრაფვიდან გამომდინარე გახდეს ევრო–ატლანტიკური საზოგადოების ნაწილი, აღნიშნული კონფერენციის მიზანია ევროპის სამართალზე, ეკონომიკასა და პოლიტიკაზე ცნობიერების ამაღლება ქართველ სტუდენტებში. ეს პროექტი არის პირველი ნაბიჯი ევროკავშირის ინსტიტუტების, პოლიტიკისა და სამართლებრივი ასპექტების საფუძვლიანად შესწავლის კუთხით.

გთავაზობთ თემების სათაურების სამ ალტერნატივას:

- ევროკავშირის სამართლის პირდაპირი ეფექტი
- ევროკავშირი ნეო–ფუნქციონალისტური თვალთახედვით
- მდგრადი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია ევროკავშირში

თითოეულმა მონაწილემ ან ჯგუფმა, რომელიც უნდა შედგებოდეს მაქსიმუმ სამი მონაწილესაგან, უნდა აირჩიოს ერთ-ერთი სათაური მოცემული ჩამონათვალიდან. **სასურველი საკონფერენციო თემა უნდა დარეგისტრირდეს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@elsa.ge.**

<u>იმისათვის რომ სტუდენტებმა წარმატებით შეძლონ კონფერენციაში მონაწილეობა, ჩატარდება სპეციალური საგანმანათლებლო პრეზენტაციები (ინგლისურად) ევროკავშირის სამართალსა და მის ისტორიულ ასპექტებზე.</u>

- ყველა მონაწილე მიიღებს კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელ სერტიფიკატს.
- ნამუშევრები, რომელიც 100 ქულას მიიღებს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, თითოეულ თემაზე საუკეთესო ქულის მქონე ნაშრომები გამოქვეყნდება სამეცნიერო ჟურნალ კამათელში.
- გამარჯვებული ნაშრომების ავტორები მიიღებენ სპეციალურ საჩუქრებს და სერტიფიკატებს, და მათ მიეცემათ 20 წუთი პრეზენტაციისათვის სპეციალურად გამართულ კონფერენციაზე (დრო და ადგილი მოგვიანებით გახდება ცნობილი).

რეგისტრაციის ბოლო ვადაა: 10 მაისი 23:59 საათი
თემების გამოგზავნის (აღნიშნულ ელ–ფოსტაზე: **info@elsa.ge**) **ბოლო ვადაა:** 31 მაისი 23:59 საათი

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ ეწვიოთ შემდეგ ვებ–გვერდებს: www.elsa.ge ან www.sau.ge ან დაუკავშირდეთ ზინა ჩხაიძეს მოცემულ ელექტრონულ მისამართზე: info@elsa.ge

<u>საორგანიზაციო ჯგუფი:</u>

ანდრია ნადირაძე (მთავარი ორგანიზატორი), ზინა ჩხაიძე (ორგანიზატორი), ქეთევან თათეშვილი (პროექტის კოორდინატორი თსუ-ში).

კონფერენციის ფორმატი და მოთხოვნები

I. ფორმატი:

- **ენა**: ინგლისური / ნაშრომი შესაძლებელია შესრულდეს ასევე ქართულ ენაზეც, თუმცა ინგლისურად დაწერილ ნაშრომებს ექნებათ 7 ქულიანი უპირატესობა
- **ფონტი**: Times New Roman (ზომა: 12) / AcadNusx (ზომა: 12)
- **მოცულობა:** მაქსიმუმ ცხრა გვერდი (აუცილებელია გვერდების დანომვრა)
- **ხაზებს შორის დაშორება:** 1.5
- **ფაილის ფორმატი:** PDF or MS Word 97-2003

II. დამატებითი მოთხოვნები:

- ნაშრომში აუცილებელია სქოლიოების (footnote) გაკეთება
- ნაშრომი ასევე უნდა შეიცავდეს (9 გვერდიანი ლიმიტის გარეთ):
- თავფურცელი (სადაც მითითებული იქნება ავტორთა სახელები, უნივერსიტეტის დასახელება სადაც ისინი სწავლობენ და თემის სათაური);
- სარჩევი;
- აბრევიატურების გვერდი;
- გამოყენებული წყაროების გვერდი;

სასურველია თემის შესავალში იმ საკითხების მონახაზის (მოკლე აღწერა) გაკეთება რაზეც შემდეგში იქნება ლაპარაკი.

სასურველი საკითხები რაც უნდა ჩანდეს თემაში:

ევროკავშირის სამართლის პირდაპირი ეფექტი:

- დოქტრინის წარმოშობა
- მნიშვნელოვანი სასამართლო პრეცედენტები
- სადამფუძნებლო ხელშეკრულებების შესაბამისი ნორმები და სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტები

ევროკავშირი ნეო–ფუნქციონალისტური თვალთახედვით

- რა არის ნეო–ფუნქციონალიზმი
- როგორ ხსნის ის ევროკავშირის ფენომენს
- არის თუ არა რაიმე პრობლემები ამასთან დაკავშირებით.

მდგრადი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია ევროკავშირში

- რა არის მდგრადი ეკონომიკური განვითარება
- როგორ წარმოჩნდება ის ევროკავშირის ეკონომიკურ პოლიტიკაში
- როგორ შეიძლება მისი დანერგვა საქართველოში/კავკასიაში (მთავრობისა და საზოგადოების მხრიდან რა ღონისძიებების გატარება გახდის შესაძლებელს ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელების გარეშე?)

III. შეფასება (მაქსიმუმ 100 ქულა)

- ფორმატი – 20
- სტრუქტურა – 20
- შინაარსი – 60